

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრისა და მისი მოადგილეების მრჩევლების სახელები და გვარები, ასევე ინფორმაცია მათი სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV);
2. მინისტრისა და მისი მოადგილეების მრჩევლების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები;
3. აღნიშნული მრჩევლების თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
4. 2013–2014 წლებში მინისტრის მრჩევლებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
5. 2013–2014 წლებში მინისტრის მრჩევლებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - [info@idfi.ge](mailto:info@idfi.ge), ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,  
ლევან ავალიშვილი

შემსრულებელი  
ნინო მერებაშვილი

გამგეობის თავჯდომარე